ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 60

2 ივლისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე.

სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევროა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ.(#11-01191781363 27.06.2019წ)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ მერიის მხარდაჭერით 215 წლიდან იმართება პანტომიმის, პლასტიკისა და მოძრაობის საერთაშორისო ფესტივალი. მიმდინარე წელს საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით თეატრი, საპატიო სტუმრად იწვევს ფრანგ მუსიკოსებს. ფესტივალის ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რისი ფინანსური რესურსიც ა(ა)იპ „პანტომიმის სახელმწიფო თეატრს" არ გააჩნია. საჭირო თანხების ანაზღაურების მიზნით იზრდება "პანტომიმის სახელმწიფო თეატრის" (კოდი 08 01 02) ასიგნება 25 000 ლარით, შესაბამისად მცირდება პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა" (კოდი 08 05) ასიგნება.

მომხრე- 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამის, „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი„ (კოდი 08 01 02) ასიგნებების გაზრდას 25000 ლარით, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა